



ENPARD: A European Union
Programme supporting
Agriculture and Rural
Development



ტრენინგის შეფასების ფორმების, კოოპერატივების რეგისტრაციის ფორმებისა და პრე-
და პოსტ-ტესტების შეფასების ანგარიში

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (ACDA) კომპეტენციის
გაძლიერება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის
(ENPARD)

ევროპის დახმარება/136454/DH/SER/GE

პროექტს ახორციელებენ



AVENSA

ანგარიში მოამზადა
აისეტის (ISET)
კვლევითმა ინსტიტუტმა

ISET

International School of Economics at TSU
ISET Policy Institute

აპრილი, 2017 წელი

განმარტება

„აღნიშნული ანგარიში მომზადდა ევროკომისიის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში წარმოდგენილი შეხედულებები არის
კონსულტანტების მოსაზრება და შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკომისიის შეხედულებებს“.

შინაარსი

შესავალი	3
მეთოდოლოგია	4
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები	5
საკვლევი ჯგუფი	5
ტრენინგის გავლენის შეფასება	6
ტრენინგების შეფასება	10
კოოპერატივების ოპერაციული შესაძლებლობების განვითარება და ტრენინგების საჭიროება	11
ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვა	14
საკვლევი ჯგუფი	14
ტრენინგის გავლენის შეფასება	14
ტრენინგების შეფასება	19
კოოპერატივების ოპერაციული შესაძლებლობების განვითარება და ტრენინგების საჭიროება	20
დასკვნები და რეკომენდაციები	23
ლიტერატურა	27
დანართები	28
დანართი 1: Terms of reference of the expert	28
დანართი 2. პრე-და პოსტ-ტესტი	31
დანართი 3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ცოდნის დონე გენდერისა და რეგიონების მიხედვით	36
დანართი 4. შეფასების ფორმა	37
გრაფიკი 1: გენდერული შეფარდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიხედვით	6
გრაფიკი 2: პრე- და პოსტ-ტესტის შედეგები დასავლეთ საქართველოში	6
გრაფიკი 3: პრე-და პოსტ-ტესტის შედეგები აღმოსავლეთ საქართველოში	7
გრაფიკი 4: პრე-და პოსტ-ტესტის შედეგები ასაკის მიხედვით	7
გრაფიკი 5: ტრენინგის შეფასება	10
გრაფიკი 6: ტრენინგების საჭიროება (მთლიანი სურათი)	11
გრაფიკი 7: გენდერული თანაფარდობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში	14
გრაფიკი 8: პრე-და-პოსტ- ტესტების შედეგები დასავლეთ საქართველოში	15
გრაფიკი 9: პრე-და-პოსტ- ტესტების შედეგები აღმოსავლეთ საქართველოში	15
გრაფიკი 10: პრე-და-პოსტ- ტესტების შედეგები ასაკის მიხედვით	16
გრაფიკი 11: ტრენინგის შეფასება	19
გრაფიკი 12: ტრენინგების საჭიროება კოოპერატივებისათვის (მთლიანი სურათი)	20
ცხრილი 1: t-ტესტის შედეგები ტოლი დისპერსიების შემთხვევაში	8
ცხრილი 2: ცოდნის დონე კოოპერატივების საფუძვლებში რეგიონების მიხედვით	9
ცხრილი 3: ტრენინგის საჭიროებები	13
ცხრილი 4: t-ტესტის შედეგები ტოლი დისპერსიების შემთხვევაში	17
ცხრილი 5: ცოდნის დონე ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვის შესახებ რეგიონების მიხედვით	18
ცხრილი 6: ტრენინგის საჭიროებები	22

შესავალი

სოფლისა და სოფლის მეურნეობის გავითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ENPARD საქართველოში 2013 წლის მარტში დაიწყო. მისი მთავარი მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება.¹ პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 102 მილიონ ევროს შეადგენს. სახელმწიფოსთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და ფერმერებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, ENPARD მუშაობს სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად:

- სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება და მათი მხარდაჭერა სოფლისა და სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმირების პროცესში;
- სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მცირე ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებითა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;
- სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით, გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით.

კანონი კოოპერატივების შესახებ საქართველოში 2013 წლის ივლისში მიიღეს. 2013 1-ლ ოქტომბერს კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (ACDA) დაარსდა. სააგენტო მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში. იგი არის პასუხისმგებელი გრანტების გაცემაზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მონიტორინგსა და შეწყვეტაზე საქართველოში.

ENPARD-ის ფარგლებში, Evoluxer ატარებს ტრენინგებს დარეგისტრირებული კოოპერატივების მმართველებისა და ლიდერებისთვის, ასევე, აძლიერებს მათი განვითარების შესაძლებლობებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამასთანავე, პროექტი მუშაობს კოოპერატივების წევრების ცნობიერების ამაღლებაზე კოოპერატივების საქმიანობასა და მმართველობაზე. საბოლოოდ, აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებას.

პროექტის საქმიანობა უზრუნველყოფს კოოპერატივების ჩართულობას მთელ საქართველოში. 2016 წლის შემოდგომაზე, Evoluxer-მა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გავითარების სააგენტოს, ICC-ების, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციების, კონტრაქტით მომუშავე მომსახურების მიმწოდებლებისა და შერჩეული ტრენერების ხელშეწყობით დაიწყო ტრენინგების ჩატარება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის.

ტრენინგები ჩატარდა ორ მოდულად: *სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები და ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა*. თითოეულ მოდულზე ტრენინგები გრძელდებოდა 5 დღის განმავლობაში. პირველი მოდულის ტრენინგები ჩატარდა 2016 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში. ის შედგებოდა 4 ქვე-მოდულისგან: I. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები; II. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული განვითარების

¹ [ENPARD საქართველოში](#)

ციკლი; III. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების აუდიტი; IV. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულაციები და შიდა მმართველობა. ტრენინგები ჩატარდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 54 ჯგუფში (თითოეულ ჯგუფში მონაწილეების მაქსიმალური რიცხვი იყო 18). დასწრების ფორმის მიხედვით, სულ 928 მონაწილე დაესწრო ტრენინგებს.

მეორე მოდულის ტრენინგები ჩატარდა 2016 წლის დეკემბერსა (დასავლეთ საქართველოში) და 2017 წლის თებერვალში (აღმოსავლეთ საქართველოში). კურსმა დაფარა ბიზნეს-გეგმის შედგენის ყველა საჭირო საფეხური. ტრენინგებს სულ 949 მონაწილე დაესწრო 55 სხვადასხვა ჯგუფში. ტრენინგი მიზნად ისახავდა დარეგისტრირებული კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარებას მათთვის ბიზნესის ორგანიზების საკითხების შესახებ ცოდნის მიწოდებით.

ეს ანგარიში მოიცავს ტრენინგების შეფასებას. შეფასების მთავარი მიზანია გაანალიზოს ტრენინგების გავლენა მონაწილეების ცოდნაზე კოოპერატივების საფუძვლებისა და ბიზნესის საქმიანობის შესახებ. ტრენინგების გავლენის შეფასება მოხდა პრე-და პოსტ-ტესტების შედეგების სხვაობებზე დაკვირვებით. შედეგებზე დაყრდნობით, ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები ტრენინგების გავლენის საბოლოო შეფასებისთვის.

შეფასების კლიენტები და მთავარი დაინტერესებული პირები არიან: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ENPARD-ის განმახორციელები ორგანიზაციები (CARE, Oxfam, Mercy Corps, People in Need) და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

შეფასება შედგება სამი ნაწილისგან. პირველი ნაწილი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას. მეორე ნაწილში ცალ-ცალკე არის შეფასებული ტრენინგის ორი მოდულის შეფასება: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები და ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვა. თითოეული მოდულის შეფასება მოიცავს საკვლევი ჯგუფის აღწერას, ტრენინგის გავლენის შეფასებას, ტრენინგების შეფასებასა და ტრენინგების საჭიროებას. მესამე ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები შემდგომი ტრენინგებისთვის, რათა მოხდეს სასურველი შედეგების მიღება.

მეთოდოლოგია

ტრენინგის დაწყებამდე მონაწილეებმა შეავსეს კითხვარი, რომელიც შედგებოდა 14 კითხვისგან. ტრენინგის შემდეგ მათ შეავსეს 24 კითხვისგან შემდგარი კითხვარი, რომელშიც 14 კითხვა მეორედებოდა პრე-ტესტიდან, დამატებით კი 10 კითხვა იყო (ბიზნესის საქმიანობის ტრენინგისთვის 6 დამატებითი კითხვა იყო). კითხვარი მოიცავდა შეკითხვებს კოოპერატივების საფუძვლებზე, მის პრინციპებსა და სამართლებრივ ნორმებზე. კითხვები იყო ტესტური სახის და ჰქონდა 4 სავარაუდო პასუხი; მონაწილე იღებდა სწორად გაცემულ პასუხზე 1 ქულას, ხოლო არასწორად გაცემულ პასუხზე 0-ს. ტრენინგის შედეგების შესაფასებლად ერთმანეთს შევადარეთ პრე- და პოსტ-ტესტების საშუალო ქულები;

შესაბამისად, ანალიზისთვის შეირჩა მხოლოდ ის მონაწილეები, რომლებმაც ორივე ტესტი შეავსეს.²

მონაცემები დამუშავდა გენდერისა და რეგიონების მიხედვით. t-ტესტის (ტოლი დისპერსიების შემთხვევაში) გამოყენებით შემოწმდა პრე-და პოსტ-ტესტებს შორის სხვაობის სტატისტიკური მნიშვნელოვნება.³ t-ტესტი ტოლი დისპერსიების შემთხვევაში ხშირად გამოიყენება პრე- და პოსტ-ანალიზისთვის, რომ გაანალიზდეს ტრენინგის გავლენა მონაწილეების ცოდნაზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტესტი არ იძლევა შესაძლებლობას ტრენინგის ეფექტის ხარისხობრივ დონეზე შეფასებისთვის, რადგან ის არ აფასებს მონაწილეების ცოდნას ხარისხობრივ დონეზე. t-ტესტი ტოლი დისპერსიების შემთხვევაში მხოლოდ რაოდენობრივ დონეზე ადარებს პრე-და პოსტ-ტესტის შედეგებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები

საკვლევი ჯგუფი


როგორც უკვე აღვნიშვნეთ, ანალიზისთვის შეირჩა მხოლოდ ის მონაწილეები, რომლებმაც წერეს ტესტები როგორც ტრენინგამდე, ასევე ტრენინგის შემდეგ. სულ შეირჩა 824 მონაწილე, აქედან 314 დასავლეთ საქართველოდან იყო, ხოლო 510 აღმოსავლეთიდან.⁴ დასავლეთ საქართველოს 314 მონაწილედან 43 იყო ქალი, ხოლო 271 ქალი, 14% და 86% შესაბამისად. აღმოსავლეთ საქართველოს 510 მონაწილედან 80 იყო ქალი (16%) და 430 მამაკაცი (84%). როგორც ვხედავთ, ტრენინგში მონაწილე ქალების რიცხვი დაბალი იყო. ეს არ არის გასაკვირი, რადგან საქართველოში, ზოგადად, ქალების ჩართულობა კოოპერატივების საქმიანობაში დაბალია. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიხედვით, 2017 წლის იანვრისთვის კოოპერატივების წევრების რიცხვი შეადგენდა 13,225, აქედან კი მხოლოდ 2,989 (22.6%) იყო ქალი. თუ გავითვალისწინებთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მონაწილეთა რაოდენობებს შორის სხვაობას (დასავლეთ საქართველოში სულ იყო 23 ჯგუფი, ხოლო აღმოსავლეთში 31), ქალები და მამაკაცები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი ორივე მხარეს. გრაფიკი 1 გვიჩვენებს გენდერულ შეფარდებას დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

² ტრენინგების შეფასებისთვის გამოვიყენეთ ის 14 შეკითხვა, რომელიც საერთო იყო პრე- და პოსტ-ტესტებისთვის

³ ორი დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდის შედარების ტესტი ტოლი დისპერსიების შემთხვევაში

⁴ როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასწრების ფურცლების მიხედვით სულ 928 მონაწილე დაესწრო ტრენინგებს, მაგრამ ანალიზისთვის მხოლოდ 824 მონაცემი აღმოჩნდა ვალიდური.

გრაფიკი 1: გენდერული შეფარდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მიხედვით




ტრენინგის გავლენის შეფასება

სანამ ანალიზს დავიწყებდით, ძირითად მაჩვენებლებს დავაკვირდით: საშუალო პრე-ტესტ შედეგი ქალებისა და მამაკაცებისთვის იყო 51% და 50% შესაბამისად. თუ მონაცემებს დავაჯგუფებთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსთვის, დასავლეთ საქართველოში ქალების საშუალო შედეგი იყო 50%, ხოლო მამაკაცებისთვის 53%. გრაფიკი 2 გვიჩვენებს პრე- და პოსტ-ტესტის საშუალო შედეგებს დასავლეთ საქართველოსთვის.


უნდა აღვნიშნოთ, რომ მონაწილეებმა პოსტ-ტესტში უპასუხეს დამატებით 10 შეკითხვას, რომელიც არ შედიოდა პრე-ტესტში. დასავლეთ საქართველოში ამ კითხვებში მიღებული საშუალო შედეგი იყო 60%, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეებმა სწორად უპასუხეს საშუალოდ 6 კითხვას 10-დან.

გრაფიკი 2: პრე- და პოსტ-ტესტის შედეგები დასავლეთ საქართველოში




აღმოსავლეთ საქართველოში, საშუალო შედეგი პრე-ტესტში იყო 49%, რაც დასავლეთ საქართველოსთან შედარებით უფრო დაბალი მაჩვენებელია. საშუალო შედეგი დამატებითი 10 კითხვის იყო 56%, რაც ასევე უფრო დაბალი მაჩვენებელია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. საშუალო ქულები თითქმის არ განსხვავადებოდა ქალებისა და მამაკაცებისთვის. გრაფიკი 3 გვიჩვენებს პრე- და პოსტ-ტესტის შედეგების სტატისტიკას აღმოსავლეთ საქართველოსთვის.

გრაფიკი 3: პრე-და პოსტ-ტესტის შედეგები აღმოსავლეთ საქართველოში



საინტერესოა ტესტის შედეგების სტატისტიკა ასაკის მიხედვით. გრაფიკი 4 გვიჩვენებს პრე- და პოსტ-ტესტის შედეგებს ასაკის მიხედვით. 12-მა მონაწილემ არ მიუთითეს საკუთარი ასაკი. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრე-ტესტში ჰქონდა 20 წლამდე ასაკის მონაწილეებს (60%), ხოლო ყველაზე დაბალი (45%) 70 წელს ზემოთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ 20 წლამდე მონაწილეებმა ტრენინგის შემდეგ გააუარესეს შედეგები 60%-დან 57%-მდე. პოსტ-ტესტში, 20-დან 29 წლამდე მონაწილეებს ჰქონდათ ყველაზე მაღალი შედეგი (74%), ხოლო ყველაზე დაბალი (64%) 70 წელს ზემოთ მონაწილეებს.

გრაფიკი 4: პრე-და პოსტ-ტესტის შედეგები ასაკის მიხედვით



საბაზისო ცოდნა კოოპერატივების შესახებ საქართველოში დაბალი იყო: პრე-ტესტში საშუალო შედეგი 51% იყო. ტრენინგის შემდეგ, საშუალო მაჩვენებელი 69%-მდე გაიზარდა (36%-ით). იმისთვის, რომ შეგვეფასებინა, სხვაობის სტატისტიკური მნიშვნელოვნება, გამოვიყენეთ t-ტესტი ტოლი დისპერსიების შემთხვევაში. პროგრამა STATA-ში ცხრილი შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 1: t-ტესტის შედეგები ტოლი დისპერსიების შემთხვევაში

```
. ttest posttest== pretest
```

Paired t test

Variable	Obs	Mean	Std. Err.	Std. Dev.	[95% Conf. Interval]	
posttest	824	9.694175	.0742524	2.131444	9.548428	9.839921
pretest	824	7.122573	.0786659	2.258135	6.968163	7.276982
diff	824	2.571602	.0946536	2.717071	2.385811	2.757393

```

mean(diff) = mean(posttest - pretest)                                t = 27.1685
Ho: mean(diff) = 0                                                    degrees of freedom = 823

Ha: mean(diff) < 0              Ha: mean(diff) != 0              Ha: mean(diff) > 0
Pr(T < t) = 1.0000              Pr(|T| > |t|) = 0.0000              Pr(T > t) = 0.0000

```

ცხრილში 'diff' არის სხვაობა პოსტ-ტესტის ქულასა და პრე-ტესტის ქულას შორის. სულ 824 სხვაობაა და ამ სხვაობების საშუალო არის 2.6. P-მნიშვნელობა ცალმხრივი ჰიპოთეზისთვის არის 0.0000 (ალტერნატიული ჰიპოთეზა მარჯვენა ქვედა კუთხეში). ამ P-მნიშვნელობისთვის ნულოვანი ჰიპოთეზა შეიძლება უარყოფით მნიშვნელოვნების ნებისმიერ დონეზე;

მონაწილეების სხვაობების (პოსტ-ტესტის ქულა - პრე-ტესტის ქულა) საშუალო ნულზე მეტია. შეგვიძია, დავასკვნათ, რომ ტრენინგის შედეგად მონაწილეებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს ცოდნა კოოპერატივების შესახებ; მათ აქვთ უფრო მაღალი შედეგი პოსტ-ტესტში.

ცხრილი 2: ცოდნის დონე კოოპერატივების საფუძვლებში რეგიონების მიხედვით

რეგიონები	N=824			
	პრე-ტესტი	პოსტ-ტესტი	სხვაობა	მნიშ.
	%	%	%	
აჭარა	60%	73%	21%	***
გურია	51%	62%	21%	***
იმერეთი	52%	71%	36%	***
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	50%	69%	39%	***
სამეგრელო-ზემო სვანეთი	53%	67%	27%	***
კახეთი	54%	68%	26%	***
ქვემო ქართლი	49%	75%	54%	***
მცხეთა-მთიანეთი	53%	74%	40%	***
სამცხე-ჯავახეთი	46%	66%	41%	***
შიდა ქართლი	56%	72%	27%	***
თბილისი	47%	66%	39%	***

*5%; ** 1%; *** 0.1%.

კოოპერატივების შესახებ ცოდნის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით (ცხრილი 2).⁵ საშუალო შედეგი პრე-ტესტში ყველაზე დაბალი (46%) იყო სამცხე-ჯავახეთში, ხოლო ყველაზე მაღალი (60%) აჭარაში. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ENPARD შედარებით ადრე დაიწყო ამ რეგიონში. გარდა ამისა, აჭარა არის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელსაც აქვს საკუთარი სოფლის-მეურნეობის სამინისტრო, შესაბამისად, კოორდინაცია და მართვა უფრო ადვილია უფრო პატარა მასშტაბებზე. ყველაზე მაღალი პოსტ-ტესტის შედეგი დაფიქსირდა ქვემო ქართლში (75%), ხოლო ყველაზე დაბალი გურიაში (62%).

მთლიანობაში, სხვაობა პოსტ-ტესტსა და პრე-ტესტს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო ყველა რეგიონისთვის. ყველაზე მეტად, 54%-ით, მონაწილეებმა ქვემო ქართლში გააუმჯობესეს შედეგი. სხვაობა შედარებით დაბალი იყო (21%) აჭარასა და გურიაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აჭარას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა პრე-ტესტში, შესაბამისად, მათი გაუმჯობესების მაჩვენებელი პროცენტულად დიდი არ იყო. რაც შეეხება გურიას, პოსტ-ტესტსა და პრე-ტესტს შორის სხვაობა მცირე იყო აბსოლუტური მაჩვენებლითაც. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020-ის მიხედვით, გურიის

⁵ დანართ 3-ში მოცემულია გენდერის მიხედვით ანალიზი რეგიონების დონეზე

პროდუქტიულობა სოფლის მეურნეობაში ყველაზე დაბალია საქართველოში. უფრო მეტიც, განათლების დონე ძალიან დაბალია ამ რეგიონში.⁶


ტრენინგების შეფასება

ტრენინგების შემდეგ, მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ გამოეხატათ საკუთარი შეხედულება ტრენინგების შესახებ, მის შინაარსზე, ტრენერებსა და მომსახურების მიმწოდებლების შესახებ. კითხვარი შედგებოდა შემდეგი კატეგორიის კითხვებისგან:

1. ა. ტრენინგის შეფასება
1. ბ. ტრენინგის მოდულის შეფასება
2. ტრენინგის ორგანიზებისა და მიმწოდებლების შეფასება
3. ტრენერის შეფასება

შეფასება დაფუძნებული იყო სტანდარტულ 1-5 სკალაზე; 5 (ძალიან მნიშვნელოვანი) არის მაქსიმალური შეფასება და 1 (საერთოდ არ იყო მნიშვნელოვანი) მინიმალური. მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ტრენინგები (გრაფიკი 5). ტრენინგების საშუალო შეფასება (1.ა) მაღალი იყო (4.81 5-დან); რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეების აზრით ტრენინგები მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. კითხვარი ასევე მოიცავდა კითხვებს ტრენინგის მოდულის მნიშვნელოვნების შესახებ (1.ბ); მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ტრენინგის მოდული მათი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი იყო (4.75 5-დან). მეორე კატეგორიაში, მონაწილეების მიერ ტრენინგის ორგანიზებისა და მიმწოდებლების საშუალო შეფასება იყო 4.86 5-დან. მონაწილეებმა ასევე ძალიან დადებითად შეაფასეს ტრენერები (4.92 ქულა 5-დან).

გრაფიკი 5: ტრენინგის შეფასება



მონიტორინგის თვალსაზრისით, საორგანიზაციო ჯგუფმა ასევე ჩაატარა შემთხვევითი ინტერვიუ 33 მონაწილესთან. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ტრენინგი მნიშვნელოვანი იყო მათი საქმიანობისთვის, მათ მიიღეს ცოდნა კოოპერატივების სამართლებრივ საკითხებზე, დოკუმენტების სათანადოდ შედგენასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. მონაწილეებმა

⁶ [საქართველოს სოფლის განვითარების ტრატეგია 2017-2020](#)


ასევე აღნიშნეს, რომ მიღებულ ცოდნას ისინი გაუზიარებდნენ მათი კოოპერატივის დანარჩენ წევრებსაც.

კოოპერატივების ოპერაციული შესაძლებლობების განვითარება და ტრენინგების საჭიროება

ტრენინგების შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ საკითხების გამოვლენა, რომელთა შესახებ კოოპერატივების წევრებს სჭირდებოდათ ცოდნის გაუმჯობესება. შეფასების ფორმაში იყო ღია შეკითხვები ტრენინგების საჭიროებაზე. 825 ფორმიდან 523 პასუხი დაფიქსირდა (250 პასუხი დასავლეთ საქართველოს 315 მონაწილის მიერ და 273 აღმოსავლეთ საქართველოს 510 მონაწილის მიერ).

შეფასებამ გამოავლინა, რომ კოოპერატივებს არ აქვთ სათანადო ცოდნა სამართლებრივ რეგულაციებსა და ბუღალტრულ აღრიცხვაზე; ტრენინგების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ უნდათ უფრო მეტი ცოდნის მიღება რეგულაციებზე, გადასახადებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აქვთ შემოსავლების სამსახურის წინაშე. ამასთანავე, მათ სურდათ, რომ ტრენინგები ჩაუტარდეთ ფინანსურ აღრიცხვაში, რომ შეძლონ ყოველდღიური ტრანზაქციების სათანადოდ აღრიცხვა (18% 523 მონაწილის პასუხიდან). კოოპერატივებისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა თანადაფინანსებით ინვესტიციებზე გრანტების მექანიზმით (17% 523 მონაწილის პასუხიდან); მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ სურდათ ტრენინგები საგრანტო ბიზნეს-შეთავაზების წერაზე (ფინანსების მოძიება). ხშირ შემთხვევაში, კოოპერატივების წევრებმა აღნიშნეს ბიზნესის ადმინისტრირების პრონციპებსა და მართვის შესახებ ტრენინგების საჭიროება; ასევე მარკეტინგი იყო ერთ-ერთი მოთხოვნილი თემა ტრენინგებისთვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოოპერატივის წევრებს სურდათ ტრენინგები იმ დარგზე, რომელშიც თვითონ საქმიანობენ: მაგალითად, ღვინის მწარმოებლებს სურდათ ტრენინგი მეღვინეობაზე, თაფლის მწარმოებლებს მეფუტკრეობაზე (9% 523 მონაწილის პასუხიდან).

გრაფიკი 6: ტრენინგების საჭიროება (მთლიანი სურათი)



მონაცემები გაანალიზდა თითოეული რეგიონისთვის და გამოიკვეთა ტრენინგის საჭიროებები. შედეგები წამოდგენილია ცხრილი 3-ში (იხ. შემდეგი გვერდი). მაგალითად, აჭარაში 34 მონაწილის 26%-ს უნდათ დაესწრონ ტრენინგებს ბიზნესის საქმიანობის

დაგეგმვასა და ფინანსების მოძიების შესახებ; მათ უნდათ იცოდნენ, როგორ იწერება ბიზნეს-შეთავაზებები იმისთვის, რომ მიიღონ გრანტები ან დამატებითი რესურსები. მონაწილეებს ამავე თემაზე უნდოდათ ტრენინგები გურიაში (18% 49 მონაწილის), სამეგრელო-ზემო სვანეთსა (36% 33 მონაწილის) და სამცხე ჯავახეთში (29% 98 მონაწილის). იმერეთში, 65 მონაწილის 14%-ს სურდათ, რომ დასწრებოდნენ ტრენინგებს ბუღალტრულ აღრიცხვაზე. ეს თემა აგრეთვე ყველაზე მოთხოვნადი იყო კახეთში (30% 44 მონაწილის), შიდა ქართლსა (33.3% 15 მონაწილის) და თბილისში (38.5% 13 მონაწილის). რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში, 69 მონაწილის 22%-ს, ხოლო მცხეთა-მთიანეთში, 22 მონაწილის 23%-ს სურდათ ტრენინგების ჩატარება კოოპერატივებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მონაწილეებს მხოლოდ ქვემო ქართლსა და იმერეთში სურდათ დასწრებოდნენ ტრენინგებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სოფლის მეურნეობაში მათ გამოყენებაზე.

ცხრილი 3: ტრენინგის საჭიროებები


პასუხების რაოდენობა		პასუხები	%
აჭარა	34	ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	26%
		კოოპერატივები	15%
		მარკეტინგი; მეფუტკრეობა	12%
გურია	49	ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	18%
		ბუღალტრული აღრიცხვა	12%
		მეფუტკრეობა	12%
იმერეთი	65	ბუღალტრული აღრიცხვა	14%
		ტექნოლოგიები	12%
		მეფუტკრეობა	11%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	69	კოოპერატივები	22%
		ბუღალტრული აღრიცხვა	20%
		მეფუტკრეობა	19%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	33	ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	36%
		ბუღალტრული აღრიცხვა	9%
		სამართლებრივი საკითხები	9%
სულ (დასავლეთ საქართველო)	250		
კახეთი	44	ბუღალტრული აღრიცხვა	30%
		ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	21%
		მარკეტინგი	11.40%
ქვემო-ქართლი	81	ტექნოლოგიები	21%
		ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	17%
		ბუღალტრული აღრიცხვა	16%
მცხეთა-მთიანეთი	22	კოოპერატივები	23%
		ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	14%
		სამართლებრივი საკითხები	14%
სამცხე-ჯავახეთი	98	ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	29%
		ბუღალტრული აღრიცხვა	27%
		მეფუტკრეობა; სამართლებრივი საკითხები	15%
შიდა ქართლი	15	ბუღალტრული აღრიცხვა	33.30%
		ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	20%
		კოოპერატივები	20%
თბილისი	13	ბუღალტრული აღრიცხვა	38.50%
		მარკეტინგი	23.10%
		ფინანსური მენეჯმენტი	23.10%
სულ (აღმოსავლეთ საქართველო)	273		

ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვა

საკვლევი ჯგუფი

ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვის ტრენინგების შეფასებისთვის ჩვენ გავითვალისწინეთ მხოლოდ ის მონაწილეები რომლებმაც დაწერეს როგორც პრე ასევე პოსტ ტესტები. სულ ტრენინგებს დაესწრო კოოპერატივების 918 წევრი, რომელთაგან 404 მონაწილე იყო დასავლეთ საქართველოდან და 514 მონაწილე აღმოსავლეთ საქართველოდან. დასავლეთ საქართველოში 404 მონაწილედან 52 იყო ქალი(12,9%), და 352 მამაკაცი(87,1%). რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს 514 მონაწილედან 88 იყო ქალი(17,1%), და 426 იყო მამაკაცი(82,9%). იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ საქართველოში ტრენინგი ჩატარდა 23 ჯგუფს ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 31 ჯგუფს, ქალები და კაცები იყო თანაბრად წარმოდგენილი ორივე მხარეში(გრაფიკი 7).

გრაფიკი 7: გენდერული თანაფარდობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში




ტრენინგის გავლენის შეფასება

მანამ სანამ ტრენინგების გავლენის შეფასებაზე გადავალთ, საინტერესოა დავაკვირდეთ ზოგად მონაცემებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის. დასავლეთ საქართველოში ქალებისა და კაცებისათვის დაფიქსირდა ერთი და იმავე (49%) საშუალო ქულა პრე-ტესტში. თუმცა, ქალების საშუალო ქულა პრე-ტესტში უფრო მაღალია(76%) ვიდრე იმავე მაჩვენებელი კაცებისათვის(72%).

მე-8 გრაფიკზე მოცემულია საშუალო შედეგები პრე-და-პოსტ-ტესტებში დასავლეთ საქართველოში.


აღსანიშნავია რომ, მონაწილეებმა უპასუხეს ექვს დამატებით კითხვას პოსტ-ტესტში რომლებიც არ იყო პრე-ტესტში შეტანილი. დასავლეთ საქართველოში დამატებითი ექვსი კითხვის საშუალო შედეგი იყო 78%, რაც ნიშნავს რომ მონაწილეებმა ოთხ შეკითხვას ექვსიდან სწორად უპასუხეს.

გრაფიკი 8: პრე-და-პოსტ- ტესტების შედეგები დასავლეთ საქართველოში



გრაფიკ 9-ზე მოცემულია პრე-და პოსტ-ტესტების შედეგები აღმოსავლეთ საქართველოსთვის. აღმოსავლეთ საქართველოში ტრენინგის მონაწილეების საშუალო ქულა პრე-ტესტში დაფიქსირდა 50%, რაც მცირედით განსხვავდება იმავე მაჩვენებლისგან დასავლეთ საქართველოში. საშუალო შედეგი პრე-ტესტში იყო 50% კაცებისათვის და 51% ქალებისათვის. ასევე, თითქმის თანაბარი იყო ქალების და კაცების საშუალო პოსტ-ტესტ ქულა. დამატებითი ექვსი კითხვის საშუალო ქულა შეადგენდა 76%-ს, რაც მხოლოდ 2%-ით ნაკლებია იმავე მაჩვენებელზე დასავლეთ საქართველოში.


გრაფიკი 9: პრე-და-პოსტ- ტესტების შედეგები აღმოსავლეთ საქართველოში



გრაფიკ 10-ზე მოცემულია საშუალო შედეგები პრე-და-პოსტ-ტესტებში ასაკის მიხედვით. 68 მონაწილეს არ მიუთითებია ასაკი(მათი ქულები გრაფიკზე აღნიშნულია როგორც „არ არის მითითებული“). 20 წლამდე ასაკის მონაწილეებს ჰქონდათ ყველაზე დაბალი საშუალო პრე-ტესტ ქულა (43%), ამასთანავე მონაწილეები რომლებიც იყვნენ 20-29 წლამდე ასაკის ჯგუფში

აჩვენებს ყველაზე მაღალი შედეგი პრე-ტესტში(54%). ტრენინგის შემდეგ ყველაზე მაღალი საშუალო შედეგი პოსტ-ტესტში ჰქონდათ 20 წლამდე ასაკის მონაწილეებს (82%), მაშინ როცა 70 წელს გადაცილებულმა მონაწილეებმა იმავე მაჩვენებელში ყველაზე დაბალი შედეგი დააფიქსირეს(66%).

გრაფიკი 10: პრე-და-პოსტ- ტესტების შედეგები ასაკის მიხედვით



კოოპერატივის წევრების საბაზისო ცოდნა ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვის შესახებ და მის მახასიათებლებზე იყო საკმაოდ დაბალი: საშუალო შედეგი პრე-ტესტში იყო 50%. ტრენინგის შედეგად საშუალო ქულა გაიზარდა 69%-მდე(38.4%-ით). სტატისტიკური მნიშვნელოვნების შეფასებისთვის, გამოყენებული იქნა T-ტესტი ტოლი დისპერსიების შემთხვევაში. STATA-ს ცხრილი გამოიყურება შემდეგნაირად:

ცხრილი 4: t-ტესტის შედეგები ტოლი დისპერსიების შემთხვევაში

```
. ttest posttest== pretest
```

Paired t test

Variable	Obs	Mean	Std. Err.	Std. Dev.	[95% Conf. Interval]	
posttest	918	9.688453	.0897109	2.718108	9.512391	9.864516
pretest	918	7	.0851393	2.579594	6.832909	7.167091
diff	918	2.688453	.1069393	3.240101	2.478579	2.898327

```

mean(diff) = mean(posttest - pretest)          t = 25.1400
Ho: mean(diff) = 0                             degrees of freedom = 917

Ha: mean(diff) < 0          Ha: mean(diff) != 0          Ha: mean(diff) > 0
Pr(T < t) = 1.0000          Pr(|T| > |t|) = 0.0000          Pr(T > t) = 0.0000

```

ცხრილში 'diff' არის სხვაობა პოსტ-ტესტის ქულასა და პრე-ტესტის ქულას შორის. სულ 918 სხვაობაა და ამ სხვაობების საშუალო არის 2.6. მონაწილეთა სხვაობების საშუალო(პოსტ-ტესტს გამოკლებული პრე-ტესტი) არის ნულზე მეტი რადგან P-მნიშვნელობა ცალმხრივი ჰიპოთეზისთვის არის 0.0000 (ალტერნატიული ჰიპოთეზა მარჯვენა ქვედა კუთხეში). ამ P-მნიშვნელობისთვის ნულოვანი ჰიპოთეზა შეიძლება უარყოფილ იქნას მნიშვნელოვნების ნებისმიერ დონეზე; შეიძლება დავასკვნათ, რომ ტრენინგის შედეგად მონაწილეებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს ცოდნა ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვის შესახებ; მათ აქვთ უფრო მაღალი შედეგი პოსტ-ტესტში.

ცხრილი 5: ცოდნის დონე ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვის შესახებ რეგიონების მიხედვით

რეგიონები	N=918			
	პრე-ტესტი	პოსტ-ტესტი	სხვაობა	მნიშ.
	%	%	%	
აჭარა	54%	72%	32%	***
გურია	46%	65%	43%	***
იმერეთი	54%	74%	37%	***
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	44%	68%	55%	***
სამეგრელო-ზემო სვანეთი	51%	80%	56%	***
კახეთი	55%	65%	19%	***
ქვემო ქართლი	48%	66%	36%	***
მცხეთა-მთიანეთი	59%	75%	27%	***
სამცხე-ჯავახეთი	48%	63%	31%	***
შიდა ქართლი	47%	75%	60%	***
თბილისი	57%	71%	24%	***

*5%; ** 1%; *** 0.1%.


მთლიანობაში, ცოდნის დონე ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვის შესახებ განსხვავდება რეგიონების მიხედვით(ცხრილი 6). აღმოჩნდა რომ, რეგიონი სადაც ყველაზე მაღალი(59%) პრე-ტესტ ქულა ჰქონდათ იყო მცხეთა-მთიანეთი, და ყველაზე დაბალი შედეგი იმავე მაჩვენებელში რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში(44%) დაფიქსირდა. რაც შეეხება პოსტ-ტესტის ქულებს, ყველაზე მაღალი(80%) საშუალო ქულა დაფიქსირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, და იმავე მაჩვენებელი ყველაზე დაბალი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში(63%) ჰქონდათ. T-ტესტმა(ტოლი დისპერსიების შემთხვევაში) აჩვენა, რომ განსხვავება პრე-და-პოსტ-ტესტებს შორის არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ყველა რეგიონში. ცოდნის დონის ყველაზე დიდი 60%-იანი გაუმჯობესება მონაწილეებმა შიდა ქართლის რეგიონში აჩვენეს. შედარებით მცირე სხვაობა პრე-და-პოსტ-ტესტებს შორის დაფიქსირდა კახეთის რეგიონში(19%).

ტრენინგების შეფასება

ტრენინგების ბოლოს, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ შეეფასებინათ ტრენინგი, მისი შინაარსი, ტრენერები და მომსახურების მომწოდებლები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლების ტრენინგის კითხვარის იდენტური კითხვარი იქნა ამ შემთხვევაშიც გამოყენებული. შეფასება დაფუძნებული იყო სტანდარტულ 1-5 სკალაზე; 5 (ძალიან მნიშვნელოვანი) გულისხმობს მაქსიმალური შეფასებას და 1(საერთოდ არ იყო მნიშვნელოვანი) მინიმალურს.

მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ტრენინგები(იხ. გრაფიკი 11); მათი შეფასებით ბიზნეს საქმიანობის ტრენინგები სასარგებლო იყო მათი ცოდნის ამაღლებისთვის. მათ ასევე პოზიტიურად შეაფასეს ტრენერები, ტრენერის საშუალო შეფასება შეადგენდა 4.94-ს 5 ქულიან სკალაზე. ტრენინგის მონაწილეებმა ასევე შეაფასეს ტრენინგების ორგანიზებულობა და მომსახურების მომწოდებელი, საშუალოდ 4.91 ქულით. რაც შეეხება ტრენინგის კურსის მნიშვნელობას მონაწილეებმა აღნიშნეს რომ ტრენინგების ეს მოდული სასარგებლო იყო მათი კოოპერატივის საქმიანობისთვის(4.85 5-დან). ასევე მაღალი იყო ტრენინგების საშუალო(4.85 5-დან). შეფასებაც(1.ა).

გრაფიკი 11: ტრენინგის შეფასება



ტრენინგების შეფასების ვალიდაციის შესამოწმებლად, მონიტორინგის ჯგუფმა ასევე ჩაატარა შემთხვევითი ინტერვიუები ტრენინგების 33 მონაწილესთან. ინტერვიუებიდან გამოვლინდა რომ, ტრენინგებს ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კოოპერატივის წევრებზე, რადგანაც ტრენინგის მონაწილეებმა შეიძინეს საბაზისო ცოდნა ბიზნეს გეგმის დაწერის შესახებ, თუ როგორ გამოთვალონ პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, და ასევე როგორ განსაზღვრონ საკუთარი მოგება. რესპოდენტებმა აღნიშნეს რომ ტრენინგების შედეგად დაგროვებულ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკაში და შეადგენენ ახალ ბიზნეს გეგმას რათა მოიპოვონ დამატებითი დაფინანსება. მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ მიღებულ ცოდნას ისინი გაუზიარებდნენ მათი კოოპერატივის დანარჩენ წევრებსაც.


კოოპერატივების ოპერაციული შესაძლებლობების განვითარება და ტრენინგების საჭიროება

ტრენინგების შემდეგ მონაწილეებმა აღნიშნეს ის სფეროები რომლებშიც სჭირდებათ და ისურვებდნენ დატრენინგებას რათა გაიუმჯობესონ ცოდნის დონე. 949 მონაწილიდან 584-მა დააფიქსირა თავისი სურვილი სამომავლო ტრენინგებთან დაკავშირებით, აქედან: 232 იყო დასავლეთ ხოლო 352 აღმოსავლეთ საქართველოდან.

პირველი მოდულის მსგავსად (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები), მონაწილეებმა აღნიშნეს რომ მათ სურთ უფრო მეტი ცოდნის მიღება ბუღალტრულ აღრიცხვაში (30%-ს 584 მონაწილის პასუხიდან); მათივე თქმით კოოპერატივის წევრებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა რათა შეასრულონ და აღწერონ ყოველდღიური ტრანზაქციები. მონაწილეთა პასუხების მიხედვით, ფინანსებთან ხელმისაწვდომობა რჩება მთავარი დაბრკოლება კოოპერატივებისათვის. კოოპერატივის წევრების პასუხების მიხედვით გამოვლინდა რომ სურთ რომ მიიღონ დამატებითი ფინანსური რესურსები, შესაბამისად ინტერესს გამოთქვამენ დაესწრონ ტრენინგებს ფულადი სახსრების მოზიდვის შესახებ, რაც მოიცავს საგრანტო ბიზნეს-შეთავაზების წერას(7% 484 მონაწილის პასუხიდან).

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ACDA მხარს უჭერს ინიციატივებს რომლებიც სექტორ სპეციფიკურია; როგორებიცაა თხილი, რძის წარმოება და მეფუტკრეობა.⁷ 12%-მა 584 მონაწილიდან მიუთითა რომ მათ სურთ ტრენინგები ტრენინგები იმ დარგში, რომელშიც თავად საქმიანობენ.

გრაფიკი 12: ტრენინგების საჭიროება კოოპერატივებისათვის (მთლიანი სურათი)



მონაცემების ანალიზი ტრენინგების საჭიროების შესახებ ასევე გაკეთდა რეგიონების მიხედვით (ცხრილი 6). აჭარაში ტრენინგის 20 მონაწილედან 20%-ს სურს ტრენინგები

⁷ <http://acda.gov.ge/index.php/eng/static/175>

კოოპერატივებზე, მის პრინციპებზე და უპირატესობებზე. გურიაში, 18%-ს 34 მონაწილედან უნდა დაესწროს ტრენინგებს მეთხილეობის შესახებ. რაც შეეხება იმერეთს, აქ ყველაზე მოთხოვნილი თემა ტრენინგისთვის იყო ბუღალტრული აღრიცხვა (23% 57 მონაწილის პასუხიდან). იმავე თემაზე სურდათ ტრენინგი სხვა რეგიონებშიც: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში(28% 76 მონაწილის პასუხიდან), სამეგრელო-ზემო სვანეთში(22% 45 მონაწილის პასუხიდან),კახეთში(44% 64 მონაწილის პასუხიდან), ქვემო ქართლში(29% 84 მონაწილის პასუხიდან),მცხეთა-მთიანეთში (42% 31 მონაწილის პასუხიდან, სამცხე-ჯავახეთში(15% 131 მონაწილის პასუხიდან), შიდან ქართლში(68% 34 მონაწილის პასუხიდან) და თბილისში(63% 8 მონაწილის პასუხიდან). ეს ყველაფერი იმას მოწმობს რომ ბუღალტრული აღრიცხვა არის მნიშვნელოვანი თემა კოოპერატივის წევრებისათვის. ასევე უნდა აღინიშნოს რომ ტრენინგის მონაწილეებს სურთ ცოდნის ამაღლება სამართლებრივ საკითხებზე და საგადასახადო სისტემაზე.

ცხრილი 6. ტრენინგის საჭიროებები

	პასუხების რაოდენობა	პასუხები	%
აჭარა	20	კოოპერატივები	20%
		ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	20%
		მარკეტინგი	15%
გურია	34	მეთხილეობა	18%
		მეფუტკრეობა	14%
		ტექნოლოგიები	12%
იმერეთი	57	ბუღალტერული აღრიცხვა	23%
		მარკეტინგი	16%
		მეფუტკრეობა	14%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	76	ბუღალტერული აღრიცხვა	28%
		ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	24%
		მეფუტკრეობა	20%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	45	ბუღალტერული აღრიცხვა	22%
		მავნებელთა და დაავადებათა კონტროლი	18%
		იურიდიული საკითხები	9%
სულ(დასავლეთ საქართველო)	232		
კახეთი	64	ბუღალტერული აღრიცხვა	44%
		მევენახეობა	9%
		მეფუტკრეობა	8%
ქვემო ქართლი	84	ბუღალტერული აღრიცხვა	29%
		მესაქონლეობდა	8%
		ტექნოლოგიები	7%
მცხეთა-მთიანეთი	31	ბუღალტერული აღრიცხვა	42%
		ბიზნეს საქმიანობის დაგეგმვა და ფინანსების მოძიება	13%
		იურიდიული საკითხები, მეფუტკრეობა, სამაცივრე მეორნეობა	6%; 6%; 6%
სამცხე-ჯავახეთი	131	ბუღალტერული აღრიცხვა	15%
		მეფუტკრეობა	13%
		ტექნოლოგიები	11%
შიდა ქართლი	34	ბუღალტერული აღრიცხვა	68%
		იურიდიული საკითხები	20%
თბილისი	8	ბუღალტერული აღრიცხვა	63%
სულ(აღმოსავლეთ საქართველო)	352		

დასკვნები და რეკომენდაციები

Evoluxer-მა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, ICC-ების, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციების, კონტრაქტით მომუშავე მომსახურების მიმწოდებლებისა და შერჩეული ტრენერების ხელშეწყობით დაიწყო ტრენინგების ჩატარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის საქართველოში. ჩამოყალიბდა ორი ტრენინგ მოდული: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები (შედგება ოთხი ქვე-მოდულისგან) და ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვა.

ამ კვლევის შედეგად მოხდა მონაწილეების ცოდნის დონის შეფასება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლებსა და ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვაში. ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ტრენინგების გავლენა მონაწილეთა ცოდნაზე პრე-და-პოსტ-ტესტების შედეგების სხვაობაზე დაკვირვებით. t-ტესტის (ტოლი დისპერსიების შემთხვევაში) გამოყენებით შემოწმდა პრე-და-პოსტ-ტესტებს შორის სხვაობის სტატისტიკური მნიშვნელოვნება.

შეფასების შედეგად გამოვლინდა რომ ტრენინგებს ჰქონდა დადებითი გავლენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლებსა და ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვაში მონაწილეთა ცოდნის ამაღლებაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლების ტრენინგების შეფასებამ გვაჩვენა რომ ტრენინგების შედეგად მონაწილის საშუალო შედეგი გაიზარდა 51%-სან 69%-მდე (36%). ასევე, სხვაობა პრე-და-პოსტ-ტესტს შორის არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ნებისმიერ დონეზე (P -მნიშვნელობა=0.0000).

რეგიონების მიხედვით დაფიქსირდა შემდეგი ძირითადი განსხვავებები: საშუალო შედეგი პოსტ-ტესტში მერყეობდა 62%-დან(გურია) 75%-მდე (ქვემო ქართლი). ყველაზე დიდი გაუმჯობესება მონაწილეებმა აჩვენეს ქვემო ქართლში(54%). მთლიანობაში, სხვაობა პრე-და-პოსტ-ტესტებს შორის იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ყველა რეგიონში. შედეგების სხვაობა პრე-და-პოსტ-ტესტებს შორის შესაძლებელია აიხსნას საბაზისო ცოდნის ან მოცემული საკითხების შესწავლის მოტივაციის განსხვავებით სხვადასხვა რეგიონში.

მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ტრენინგ კურსი და აღნიშნეს რომ მონაწილეობას მიიღებენ Evoluxer/ACDA-ს მიერ ორგანიზებულ სხვა ტრენინგებშიც. ამასთან ერთად, ტრენინგის დასრულების შემდეგ მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა შემთხვევითი ინტერვიუ 33 მონაწილესთან. გამოვლინდა რომ მონაწილეები დადებითად აფასებენ ტრენინგის შინაარსს და თვლიან რომ მიღებული ცოდნა დაეხმარებათ კოოპერატივის შედგომ საქმიანობაში.

შეფასების ფორმაში მონაწილეებმა დააფიქსირეს მათი ტრენინგის საჭიროებები.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა რომ კოოპერატივის მენეჯერებს და წევრებს სურთ მონაწილეობა მიიღონ შემდეგ ტრენინგებში:

- ფინანსების მოძიება,

- ფინანსური აღრიცხვა და
- ბიზნეს ადმინისტრირება.

ტრენინგის მონაწილეებმა ასევე სურთ დაესწრონ ტრენინგებს მარკეტინგის შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოოპერატივის წევრებს სურდათ ტრენინგები სპეციფიკურ დარგებზე, რომელშიც თვითონ საქმიანობენ(მაგ.: მეფუტკრეობა, მევენახეობა).

მიუხედავად იმისა რომ დაესწრნენ ტრენინგს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლების შესახებ, ზოგ მონაწილეს კვლავ სურს იგივე ტრენინგზე დასწრება მომავალში. ასე რომ ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლების შესახებ(ოთხი ქვე-მოდულით) შესაძლოა უნდა იქნას განმეორებული.

ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვის ტრენინგების შეფასებამ გვაჩვენა რომ მონაწილეებმა გაიუმჯობესეს ცოდნა ბიზნეს გეგმის წერის აუცილებელი საფეხურების შესახებ. მონაწილის საშუალო შედეგი გაიზარდა 50%-დან 69%-მდე(38%-ით). ამ შემთხვევაშიც, სხვაობა პრე-და-პოსტ-ტესტებს შორის არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ნებისმიერ დონეზე(P -მნიშვნელობა=0.0000).

მთლიანობაში, ცოდნის დონე ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვის შესახებ განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ყველაზე დაბალი (63%) შედეგი პოსტ-ტესტში დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში, ყველაზე მაღალი(80%) კი-სამეგრელო-ზემო სვანეთში. t- ტესტმა (ტოლის დისპერსიების შემთხვევაში) აჩვენა, რომ სხვაობა პრე-და-პოსტ-ტესტებს შორის არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ყველა რეგიონში. ყველაზე დიდი გაუმჯობესება მონაწილეებმა აჩვენეს შიდა ქართლში (60%).

ტრენინგების ბოლოს მონაწილეები აფასებდნენ ტრენინგს,მის შინაარსს, ტრენერებს და მომსახურების მომწოდებლებს. მათ ძალიან პოზიტიურად შეაფასეს ტრენინგის კურსი, და აღნიშნეს რომ ტრენინგი ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვის შესახებ სასარგებლო იყო მათთვის. ტრენინგების შემდეგ, მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა შემთხვევითი ინტერვიუ 33 მონაწილესთან. იქედან გამომდინარე რომ კოოპერატივებს ექმნებათ დაბრკოლებები ფინანსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, მონაწილეებმა აღნიშნეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ტრენინგი მათთვის; დაგროვებულ ცოდნას ისინი გამოიყენებენ ბიზნეს გეგმის დასაწერად რათა მოიპოვონ დამატებითი დაფინანსება.

შეფასების ფორმაში მონაწილეებმა დააფიქსირეს მათი ტრენინგის საჭიროებები.ესენია:

- ფინანსური აღრიცხვა,
- ფინანსების მოძიება, და
- იურიდიული საკითხები და გადასახადები

ორი ტრენინგ მოდულის წარმატებულად ჩატარების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუძვლები (მოიცავს 4 ქვე-მოდულს) და ბიზნესის დაგეგმარება, Evoluxer-მა ჩაატარა ტრენინგები შემდეგ მოდულებში:

- თხილის წარმოება და პირველადი გადამამუშავება (12 მოდული)

- საგადასახადო საკითხები
- ბუღალტერია

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შესაძლებლობების გასაძლიერებლად, Evoluxer-მა უკვე დაგეგმა შემდეგი ტრენინგების ჩატარება:

- მეფუტკრეობა, პირველადი წარმოების ჩათვლით (10 მოდული)
- მავნებლებთან ბრძოლა
- ხელოვნური განაყოფიერება
- რძის გადამუშავების ტექნოლოგია
- ყველის წარმოების ტექნოლოგიები
- მეღვინეობა - ბიზნეს დაგეგმარება
- დანადგარების ექსპლუატაცია და წარმოება
- სურსათის უვნებლობის და ხარისხის მართვის საკითხები თხილთან მიმართებაში
- სურსათის უვნებლობა რძის სექტორსა და თავფლთან მიმართებაში

აღსანიშნავია, რომ Evoluxer-მა უკვე ჩაატარა ტრენინგები რომლებიც მონაწილეების მიერ იყო მოთხოვნილი. შესაბამისად, ISET-მა წარმოადგინა ტრენინგების გაფართოებული ჩამონათვალი, რომლებიც Evoluxer-ის მიერ ჯერ არ შემუშავებულა, მაგრამ მოთხოვნილი იქნა მონაწილეების მხრიდან (ცხრილი 7).

ცხრილი 7: რეკომენდირებული ტრენინგები

რეკომენდირებული ტრენინგები	პასუხების რაოდენობა (ჯამში 1107)	წილი (%)
მარკეტინგი	113	10%
მეცხოველეობა და ვეტერინარია	84	8%
სამართლებრივი საკითხები	89	8%

2017 წლის 21 აპრილს, ISET-მა კვლევის ძირითადი შედეგების პრეზენტაცია Evoluxer-ის მიერ ორგანიზებულ სემინარზე გამართა, რომელსაც ACDA-ს წარმომადგენლებიც დაესწრნენ. პრეზენტაციას საინტერესო განხილვები მოჰყვა მომავალში დაგეგმილ ტრენინგებთან დაკავშირებით. მომდევნო ტრენინგ მოდულების განმავლობაში ძირითადი ყურადღება მესაქონლეობაზე გამახვილდება, ამიტომაც დამსწრეებმა გადაწყვიტეს, რომ საკვების წარმოება სასარგებლო იქნება კოოპერატივის წევრებისთვის. საბოლოოდ, მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ Evoluxer-მა უნდა შეიმუშავოს შემდეგი ტრენინგები:

- მარკეტინგი

- საკვების წარმოება
- სამართლებრივი საკითხები (ახლად დაარსებული კოოპერატივებისთვის).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კვლევის შედეგად გამოვლინდა ტრენინგების ეფექტი რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე, პრე-და-პოტ-ტესტიზს შედეგების სხვაობაზე დაკვირვებით. უფრო მრავალფეროვანი კითხვარი(რამოდენიმე პასუხის არჩევის შესაძლებლობა, კი\არა კითხვები, სწორი\არასწორია კითხვები, ღია კითხვები) საშუალებას მოგვცემდა დაგვენახა ტრენინგების გავლენის თვისობრივი სურათი.

იმისათვის, რომ ვუზრუნველყოთ მომავალი ტრენინგების მონაცემების ხარისხი, სასურველია ტრენერებს ჩაუტარდეთ სესია სადაც მათ აუხსნიან თუ როგორ შეიყვანონ მონაცემები სწორად. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა რომ ზოგიერთი კითხვარი არ იყო სწორად შევსებული, რაც შემდგომი ანალიზის საშუალებას არ იძლევა. რაც შეეხება ტრენინგების დაგეგმვას და ჩატარებას, ტრენერები უნდა იქნას სათანადოდ შერჩეული წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით, რადგანაც, ტრენერებმა შეიძლება გამოიწვიონ სხვადასხვა ჯგუფების ცოდნის დონეებს შორის სხვაობა და შეცდომა მონაცემებში.

ლიტერატურა

Martinez-Cambor, P., Corral, N., & de la Hera, J. M. (2013). Hypothesis Test for Paired Samples in the Presence of Missing Data. *Journal of Applied Statistics*, 40(1-2), 76-87

Samawi, M. H., & Vogel, R. (2014). Notes on two sample tests for partially correlated (paired) data, *Journal of Applied Statistics*, 41 (1), 109-117

დანართები

დანართი 1: Terms of reference of the expert

TERMS OF REFERENCE FOR SHORT TERM SENIOR EXPERT

Position: Expert for assessing training evaluation and coop registration forms and pre & post tests for agriculture coops, developed by the project and prepare report on the findings, conclusions and recommendations for revision/modification in line with log frame and final training impact assessment (activity 3.2). In addition to use training statistics of 4 basic and business planning for coops, process it and write 2 midterm training impact analysis for cooperatives.

(Activity 3.3)

Duration of assignment: 6 months (September 2016 – March 2017),

Expert days: up to 15 man-days

Aims and Objectives of the project

The goal of the project is to contribute to increase food production in Georgia and reduce poverty. The project purpose is to strengthen institutional capacity and skills of the Agriculture Cooperatives Development Agency (ACDA), to institutionalize continued training programmes for registered cooperative managers and management leaders, to strengthen the management capacity and install proper governance at registered cooperatives and to improve understanding among cooperatives members of the meaning and purpose of cooperative enterprises and an increased sense of ownership of their cooperatives. The project activities will be throughout Georgia.

General Tasks

The expert will work under the supervision of the EU expert (Team Leader / Institutional Expert) and in close cooperation with the project team and the project counterpart (Agriculture Cooperatives Development Agency ACDA). The expert will also link with other EU / international donor funded projects in Georgia and project stakeholders.

Profile and responsibilities

The expert will contribute to the successful performance of **activity 3.3 Prepare reports on the findings, conclusions and recommendations for revision of training program** while ensuring strict adherence to all project policies and procedures.

Key activities / tasks of the assignment and the related time-lime / deadline will be:

Activities	Start	End	Duration
3.3 Prepare reports on the findings, conclusions and recommendations for revision of training program in line with log frame and final training impact assessment	26.09.16	15.03.17	7 months
3.3.1 Assess training evaluation and coop registration forms and pre & post tests for agriculture coops	26.09.16	03.10.16	1 week
3.3.2 Use training statistics of 4 basic modules for coops, process it	28.11.16	15.12.16	2 weeks
3.3.3 Use training statistics of business planning module for coops, process it	01.03.17	15.03.17	2 weeks
3.3.4 Write 1 st midterm training impact analysis for cooperatives, which will comprise findings, conclusions and recommendations for revision of 4 basics training program in line with log frame and final training impact assessment		20.12.16	2 weeks
3.3.5 Present the final results at ENPARD/ACDA monthly meeting in December and integrate feedback in final versions (two presentations one for each module)		20.12.16	1 day each
3.3.6 Write 2 nd midterm training impact analysis for cooperatives, which will comprise findings, conclusions and recommendations for revision of business planning training program in line with log frame and final training impact assessment		15.03.17	2 weeks
3.3.7 Present the final results at ENPARD/ACDA monthly meeting in December and integrate feedback in final versions (two presentations one for each module)		20.03.17	1 day each
3.3.8 Submit final reports		31.12.16 31.03.17	2 months

Project indicators:

- Number of modifications to training programs proposed
- Number of modifications to training programs approved

Outputs: Training program is revised & improved in line to the needs emerged & feedback obtained from the relevant authorities, ETIs & beneficiaries

Draft & final reports (in Georgian and English) – Consultant should submit draft report first and after the project comments, finalize it.

The report will include the following:

- a. Description of the context in which the assignment was conducted
- b. Description of the primary clients of the assignment and the stakeholders involved

- c. Definition of the objective of the assignment and its scope.
- d. Overview of the approach / methodology and the tools used;
- e. Information on the sub-sectors of operation of the agricultural cooperatives (Registration form)
- f. Impact analyses of the trainings
- g. Statistical information and visual charts
- f. Conclusions and Recommendations on the necessary technical and operational capacity building and training areas.

Annexes:

Annex 1: Terms of Reference of the expert

Annex 2: Work plan

Annex 3: pre & post test

Annex 4: Evaluation form with statistic template

If necessary other annexes ...

The Senior Expert will have to provide sound experience in a certain number of activities to perform his/her tasks in the project in an adequate and professional manner.

For this reason the expert will have to show the following qualifications:

- university degree in a subject relevant to the post
- a minimum of 7 years working experience
- knowledge of agriculture and/or agribusiness situation in Georgia
- experience in capacity and institution building, agriculture economics, business planning (incl. business/market analysis and marketing plan, operation/investment planning and budgeting, cash-flow forecast, cost-benefit analysis, training modules evaluation, taxation, risk analysis and economic impact analysis)
- working experience in international projects
- proficiency in oral and written English
- communication and presentation skills
- proven ability to perform the duties for which he/she will be recruited
- good IT experience (Word, Excel, PPP)
- free to travel to Georgia in a period of two months (September 2016 – March 2017)



This Project is funded by the EU as part of the ENPARD Programme



ENPARD: A European Union
Programme supporting
Agriculture and Rural
Development



დანართი 2. პრე-და პოსტ-ტესტი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შესაძლებლობების
განვითარების პროექტი
პროექტის ნომერი: Europe Aid/136454/DH/SER/GE

პოსტ-ტესტი 4 საბაზისო მოდულში

სერვისის მიმწოდებელი	
----------------------	--

შენიშვნა: გთხოვთ შეავსოთ მეხუთე დღის სესიის დასასრულს

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საფუძვლები
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული განვითარების ციკლი და
ინსტრუმენტი (ODT)
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულირება და
შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები

რეგიონი, მუნიციპალიტეტი	
ჯგუფის ნომერი	
ტრენინგის ადგილმდებარეობა	
კოოპერატივის სახელი	
სახელი, გვარი	
ასაკი	
სქესი	
თარიღი	

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული კომპეტენციის შეფასების
ინსტრუმენტი (OCAT)

მდედრობითი ☐

მამრობითი ☐

1. კოოპერატივში ახალი წევრის მიღების პროცედურას განსაზღვრავს: (+3 -5)
 - კოოპერატივის წესდება;
 - კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“;
 - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღებისა და შეწყვეტის წესი“;
2. კოოპერატივის საქმიანობაში წევრის ეკონომიკური მონაწილეობა შესაძლებელია: (+3 -
4)
 - ფულით;
 - ქონებით;
 - ფულით, ქონებით და შრომით.
3. კოოპერატივში წევრის მინიმალური პაის ღირებულება განისაზღვრება: (+3 -3)
 - კოოპერატივის წესდებით;
 - კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“;

- „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღებისა და შეწყვეტის წესი“-თ.
4. ჩამოთვლილ საქმიანობათაგან რომლის წარმართვის უფლება არ აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს? (+2 -3)
- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება;
 - სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო მასალებისა და საშუალებების ერთობლივი შესყიდვა;
 - საკრედიტო-სადეპოზიტო საქმიანობა;
 - პროდუქციის შეფუთვა და ეტიკეტირება;
 - პროდუქციის ტრანსპორტირება და რეალიზაცია;
5. კოოპერატივის საქმიანობაში წევრის ეკონომიკური მონაწილეობა გულისხმობს: (+4 -3)
- მონაწილეობას კოოპერატივის სერვისის თვითღირებულების დაფინანსებაში;
 - მონაწილეობას კოოპერატივის ინვესტიციებში;
 - ორივეს.
6. რას არ არეგულირებს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“: (+3 -3)
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროები;
 - კოოპერატივის წევრის სამეურნეო საქმიანობა;
 - არაწევრი პირებისთვის დაწესებული გარკვეული შეზღუდვები.
7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე შეიძლება იყოს: (+2 -2)
- სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირი;
 - საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი;
 - საქართველოს მოქალაქე.
8. მინიმალური პაი არის: (+3 -3)
- კოოპერატივის მეპაიეების მიერ შეტანილი სავალდებულო საპაიო შენატანებიდან ყველაზე მცირე შენატანის ღირებულება;
 - ერთი პაის ღირებულება;
 - კოოპერატივის მეპაიეების მიერ შეტანილი დამატებითი საპაიო შენატანებიდან ყველაზე მცირე შენატანის ღირებულება.
9. სავალდებულო საპაიო შენატანი უნდა შეიტანოს: (+2 -4)
- კოოპერატივის მეპაიემ;
 - კოოპერატივის ასოცირებულმა წევრმა;
 - ორივემ.

10. სავალდებულო საპაიო შენატანის ღირებულება განისაზღვრება: (+4 -4)

- კოოპერატივის მეპაიის ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად;
- გამგეობასთან შეთანხმებით, რომელსაც ამტკიცებს საერთო კრება;
- კოოპერატივის მიერ ამ მეპაიისთვის გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულების პროპორციულად.

11. დამატებითი საპაიო შენატანის შეტანა ხდება: (+3 -4)

- კოოპერატივის მეპაიის გაზრდილი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად;
- კოოპერატივის მიერ ამ მეპაიისთვის გასაწევი დამატებითი მომსახურების პროპორციულად;
- გამგეობასთან შეთანხმებით.

12. ასოცირებულ წევრებზე დივიდენდები განაწილდება მას შემდეგ, რაც: (+4 -5)

- დივიდენდები განაწილდება მეპაიეებზე მათი დამატებითი საპაიო შენატანების მიხედვით;
- მოხდება სარეზერვო ფონდის შევსება;
- დივიდენდები განაწილდება მეპაიეებზე მათი ეკონომიკური მონაწილეობის მიხედვით.

13. გაცემული დივიდენდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: (+5 -5)

- მეპაიის დამატებითი საპაიო შენატანის ღირებულების 30 %-ს 1 სამეურნეო წლის განმავლობაში;
- ასოცირებული წევრის საპაიო შენატანის ღირებულების 15 %-ს 1 სამეურნეო წლის განმავლობაში;
- მეპაიის სავალდებულო საპაიო შენატანის ღირებულების 30 %-ს 1 სამეურნეო წლის განმავლობაში.

14. კოოპერაციული შემოსავალი არის: (+3 -3)

- ასოცირებული წევრის შენატანის ნაწილი;
- მეპაიის შემოსავლის ნაწილი;
- წევრის მოგების ნაწილი.

15. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს კოოპერატივის ფუნდამენტურ პრინციპს?: (+4 -4)

- დამოუკიდებლობა;
- ნებაყოფლობითობა;
- წევრთა ეკონომიკური მონაწილეობა;
- კორპორატიული მოგების მიღება;
- მართვის დემოკრატიული პრინციპი.

16. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წარმოადგენს ერთადერთ ბიზნეს გაერთიანებას, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით შეუძლია: (+3 -3)
- მიიღოს გრანტი დაუბეგრავად;
 - არ დაიბეგროს მოგების გადასახადით;
 - გათავისუფლდეს დღგ-ს გადასახადისგან.
17. კოოპერაციის ჩამოთვლილი ტრადიციული ფორმებიდან რომელი უზრუნველყოფდა დამატებითი ღირებულების შექმნას? (+3 -3)
- ნადი;
 - ხანულობა;
 - ნახირი.
18. რა სახის კოოპერატივში არ ინარჩუნებს მეპაიე კოოპერატივის ფარგლებში მის სამეურნეო დამოუკიდებლობას? (+2 -3)
- საწარმოო კოოპერატივი;
 - ურთიერთდახმარების სალარო;
 - სერვისის კოოპერატივი.
19. ქვემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის რომლის კონსტიტუციაში გვხვდება კოოპერატივების მხარდამჭერი დებულებები? (+5 -3)
- ბელგია;
 - იტალია;
 - საფრანგეთი.
20. რომელ საერთაშორისოდ აღიარებულ დოკუმენტში არის დამტკიცებული კოოპერატივების ფუნდამენტური პრინციპები? (+3 -3)
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 2002 წლის რეკომენდაცია #193 "კოოპერატივების ხელშეწყობის შესახებ";
 - კოოპერატივების საერთაშორისო აღიანისის (ICA) კოოპერატივების იდენტობის განაცხადი (მანჩესტერი, 1995 წ.);
 - გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის 1997 წლის გენერალური ასსამბლეის რეზოლუცია.
21. რა არ მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ძირითად პრინციპებს: (+3 -3)
- საქმიანობა გარკვეულ ტერიტორიულ ფარგლებში;
 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობა;
 - სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება.
22. რომელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტით არის განსაზღვრული პრინციპი: „ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება“: (+5 -4)

- კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“;
- სამოქალაქო კოდექსით;
- კანონით „მეწარმეთა შესახებ“.

23. კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ რა არ განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას: (+2 -3)

- კოოპერატივის წევრების პროდუქციის რეალიზაცია;
- კოოპერატივის მეპაიეების პროდუქციის შესაფუთი მასალების წარმოება;
- კოოპერატივის მეპაიეების პროდუქციის გადაზიდვა.

24. კოოპერატივის რომელ წევრებზე ვრცელდება მოგების განაწილების მიმართ დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ დადგენილი შეზღუდვები: (+3 -4)

- კოოპერატივის მეპაიეზე;
- კოოპერატივის ასოცირებული წევრზე;
- ორივეზე.

დანართი 3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ცოდნის დონე გენდერისა და რეგიონების მიხედვით

Knowledge by Region	Men (N=701)			Women (N=123)		
	პრე-ტესტი	პოსტ-ტესტი	მნიშ.	პრე-ტესტი	პოსტ-ტესტი	მნიშ.
	%	%		%	%	
აჭარა	59%	72%	***	74%	90%	*
გურია	50%	62%	***	57%	60%	ns
იმერეთი	52%	70%	***	52%	75%	**
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	51%	69%	***	45%	70%	***
სამეგრელო-ზემო სვანეთი	52%	68%	***	53%	60%	*
კახეთი	54%	68%	***	55%	71%	**
ქვემო ქართლი	49%	75%	***	45%	76%	***
მცხეთა-მთიანეთი	52%	74%	***	57%	76%	***
სამცხე-ჯავახეთი	47%	65%	***	46%	68%	***
შიდა ქართლი	57%	72%	***	53%	70%	**
თბილისი	47%	64%	**	46%	75%	ns

სერვისის მიმწოდებელი:	
რეგიონი, მუნიციპალიტეტი:	

დანართი 4. შეფასების ფორმა

სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შესაძლებლობების
განვითარების პროექტი

პროექტის ნომერი: *Europe Aid/136454/DH/SER/GE*

ტრენინგის შეფასების კითხვარი კოოპერატივებისათვის 4 საბაზისო მოდულში

ჯგუფის ნომერი:	
ტრენინგის ადგილმდებარეობა:	
თარიღი:	

შენიშვნა: გთხოვთ შეავსოთ მეხუთე დღის სესიის დასასრულს

გვაინტერესებს თქვენი აზრი ტრენინგის თაობაზე, გთხოვთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

მოცემულ ცხრილში 5 არის მაქსიმალური დადებითი შეფასება, 1 არის მინიმალური - უარყოფითი შეფასება.

1. ა. სასწავლო კურსის შეფასება					
რა ქულას მიანიჭებდით ტრენინგს?	5	4	3	2	1
აკმაყოფილებს თუ არა ტრენინგი დასახულ მიზნებს?	5	4	3	2	1
რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო კურსის შინაარსით?	5	4	3	2	1
მოგეწონათ თუ არა ტრენინგის სასწავლო მასალები?	5	4	3	2	1
როგორ შეაფასებდით თვალსაჩინო მასალის გამოყენებას?	5	4	3	2	1
როგორ შეაფასებდით სწავლებისას გამოყენებულ მეთოდებს?	5	4	3	2	1
სწორად არის თუ არა განსაზღვრული სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი სალექციო საათების რაოდენობა?	5	4	3	2	1
შეძლებთ თუ არა ტრენინგზე შეძენილი ცოდნის გამოყენებას თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში?	5	4	3	2	1
1. ბ. ტრენინგ მოდულების შეფასება					
გთხოვთ მიუთითოთ რომელი სასწავლო მოდული იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლო თქვენი საქმიანობისთვის					
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საფუძვლები	5	4	3	2	1
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული განვითარების ციკლი და ინსტრუმენტი (ODT)	5	4	3	2	1
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლებრივი რეგულირება და შიდა საწარმოო ურთიერთობების წესები	5	4	3	2	1
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული	5	4	3	2	1

2. ტრენინგ ორგანიზაციის / სერვისის მიმწოდებლის შეფასება

როგორ იყო ტრენინგი ორგანიზებული?	5	4	3	2	1
რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პირობებით (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აუდიტორია და ა.შ)	5	4	3	2	1
რამდენად კმაყოფილი ხართ ტრენინგის ხანგრძლივობით (დაწყების დრო და დასრულების დრო)?	5	4	3	2	1

3. ტრენერის შეფასება

როგორია ტრენერის მიერ მონაწილეების აქტიურობის და დისკუსიის მოტივირება	5	4	3	2	1
ტრენერის მიერ საგნის კვალიფიციური ცოდნა	5	4	3	2	1
ტრენერის გადმოცემის უნარი	5	4	3	2	1
ტრენერის მიერ სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების უნარი	5	4	3	2	1
ტრენერის მხრიდან შეკითხვებზე პასუხის გაცემისთვის მზადყოფნა	5	4	3	2	1

დამატებითი კითხვები სასწავლო კურსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით:

4. რომელი იყო ყველაზე სასარგებლო საკითხი თქვენთვის და რამდენად შესძლებთ
გამოიყენოთ მიღებული ცოდნა თქვენს ყოველდღიურ საქმიანობაში?

.....

.....

.....

5. რომელი იყო ყველაზე ნაკლებ სასარგებლო საკითხი თქვენთვის, რომელიც არ
უკავშირდება თქვენს ყოველდღიურ საქმიანობას ?

.....

.....

.....

6. რა საკითხების შესახებ გსურდათ მეტი ინფორმაციის მიღება?

.....

.....

.....

7. რა საკითხებთან დაკავშირებით ისურვებდით მომავალში ტრენინგის ჩატარებას?

.....

.....

.....

8. თქვენი კომენტარი

.....

.....

.....

.....

.....